პატრიარქ კირილეს მიწვევით მოსკოვში კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელი ჩავიდა

2021 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მიწვევით რუსეთში ვიზიტით კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელი შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადე ჩავიდა.

ვნუკოვოს აეროპორტში მაღალ სტუმარს და მის თანმხლებ დელეგაციას მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი) და, ასევე, რუსეთში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფოლად ბულბულ ოღლი დახვდნენ.

12 ოქტომბერს ჩანიშნულია კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მეთაურის შეხვედრა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთან. 13 ოქტომბერს სამმხრივი შეხვედრა უნდა გაიმართოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილეს, შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადესა და სრულიად სომეხთა კათოლიკოს გარეგინ II-ის შორის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რელიგიური ლიდერების სამშვიდობო მისიას მიეძღვნება.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88229/